ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3069825

ნომერი: AR1470330

თარიღი : 12.01.2017

გაცემის თარიღი : 06.02.2017

გაცნობის თარიღი : 06.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , წყნეთის გზატკეცილი , N 35-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი , N 35 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი თოფურია პ/ნ 01030009451
- თბილისი, პეკინის გამზ. #2, ბ.65

ორგანიზაცია:
- შპს ახალი სკოლა კოდი: 202903750

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 12.01.2017 წ. № AR1470330 განცხადებით სამსახურს მომართა ირაკლი თოფურიამ თანაგანმცხადებელ მარინა ჟღენტთან ერთად და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის

04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით, #01.14.07.001.025 საკადასტრო ერთეულზე, სკოლისთვის განკუთვნილი დამხმარე ნაგებობის (დახურული სპორტული კომპლექსი) განთავსების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებიდან (საკადასტრო კოდი №01.14.07.001.032, ფართობი 8326 კვ.მ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის ნომერი №882016643457, რეგისტრაციის თარიღი 27/09/2016 წ. ამონაწერი: განცხადების რეგისტრაცია:№882016643457, მომზადების თარიღი: 27/09/2016 10:19:45) დგინდება, რომ შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართობი და საკადასტრო მონაცემები. მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდის შედეგად, მის საკადასტრო საზღვრებში ასევე ვრცელდება გუნქციური ზონა საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1). განმცხადებელი ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში აღნიშნული ცვლილების შეტანას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, დაცული უნდა იქნეს მიწის ნაკვეთზე ფუნცქიურ ზონებს შორის საზღვარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 8326 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - №01.14.07.001.032;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერისაჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი №01.14.07.001.032, ფართობი 8326 კვ.მ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის ნომერი №882016643457, რეგისტრაციის თარიღი 27/09/2016 წ. ამონაწერი: განცხადების რეგისტრაცია:№882016643457, მომზადების თარიღი: 27/09/2016 10:19:45);

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1);

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ჩანაწერი:

ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)=0.7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)=3.5;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)=0.1;

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს დაემატოს ფუნქციური ზონების დანართი;

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს ჩანაწერი:

- დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი;

7. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2015 წ. №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.